



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ჩინეთი და რუსეთი – საერთო ინტერესები
საერთაშორისო პოლიტიკაში

გიორგი ბილანიშვილი

109

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი გილანიშვილი

**ჩინეთი და რუსეთი – საერთო ინტერესები
საერთაშორისო პოლიტიკაში**

109

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0643-8

ბოლო ხანებში საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევრები განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებიან ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს. ეს ინტერესი სავსებით ბუნებრივია – ორივე ქვეყანა გამოირჩევა მაღალი საგარეო-პოლიტიკური აქტიურობით, ორივეს აქვს საკუთარი გავლენის გაფართოების ამბიციის და ორივეს უნდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ზესახელმწიფოდ აღიაროს.

ამ ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებებისა და მათი გავლენის გაფართოების ყველაზე თვალსაჩინო აღიარებაა აშშ-ის ბოლო, 2017 წლის, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. ამ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ჩინეთსა და რუსეთს ეთმობა, როგორც აშშ-ის უმთავრეს მოწინააღმდეგეებს თანამედროვე მსოფლიოში.¹

თუკი გავითვალისწინებთ ამ ქვეყნების მიმართ აშშ-ის მიერ გატარებულ პოლიტიკას ბოლო პერიოდში, კერძოდ, პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ, შესაძლებელია, რომ ჩინეთი და რუსეთი უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს,² რადგან, გარე ზეწოლიდან გამომდინარე, ორივე ქვეყნისთვის იზრდება ერთმანეთის მხარდაჭერისა და თანამშრომლობის საჭიროება.

საქართველოსთვის ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ამ ორი ქვეყნის პარტნიორობას როგორც გლობალური, ისე რეგიონული განზომილება აქვს. ერთი მხრივ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ როგორ აისახება ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგზე, მეორე მხრივ კი, ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობათა დინამიკას მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მათ შორის, უშუალოდ ჩვენს რეგიონში, ჩინეთის საკმაოდ სწრაფი ეკონომიკური შემოსვლის ფონზე.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორად შევაფასოთ, სად ემთხვევა ამ ორი ქვეყნის ინტერესები და როგორია მათი ურთიერთობების დღის წესრიგი მიმდინარე ეტაპზე.

ინტერესთა თანხვედრა

როდესაც ჩინეთისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრაზეა ლაპარაკი, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ორივე ქვეყანა ისწ-

რაფვის საერთო ინტერესებზე დაფუძნებული პრაგმატული პარტნიორობისა და ავტორიტარული მმართველობის შენარჩუნებისაკენ.³

რაც შეეხება მათ ურთიერთობას, ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც თანამედროვე მსოფლიო წესრიგით უკმაყოფილო ორი დიდი ქვეყნის მოქნილი ალიანსი, რომელთაც იმავდროულად გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული პოზიციები აქვთ.⁴

ამ ალიანსის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ჩინეთმა და რუსეთმა 1997 წელს ხელი მოაწერეს „ერთობლივ დეკლარაციას მრავალპოლუსიანი მსოფლიოსა და ახალი საერთაშორისო წესრიგის თაობაზე“, სადაც მრავალპოლუსიანი მსოფლიოში თანაბარუფლებიანი პარტნიორობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ განაცხადეს.⁵

ორივე ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა, აერთიანებს საკუთარი ინტერესებისათვის ყველაზე სერიოზულ საფრთხედ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების აღქმა. პეკინი და მოსკოვი მიიჩნევენ, რომ სწორედ აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისგან მოდის ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის როგორც ჩინეთს, ისე რუსეთს საკუთარი ინტერესების მიხედვით დაამყარონ წესრიგი იმ გარემოში (მათ შორის, უშუალო სამეზობლოში), რომელსაც ისინი საკუთარი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.⁶

ორივე ქვეყანა ისწრაფვის საკუთარი გავლენის გაფართოებისკენ, თუმცა ჩინეთი აქცენტს აკეთებს საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებაზე, ხოლო რაც შეეხება რუსეთს, იგი უმეტესად უხეშ სამხედრო ძალას იყენებს და ამით ხშირად უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ორივე ქვეყნისთვის დამახასიათებელია ერთდროულად როგორც სიძლიერის, ისე სისუსტის გამოვლინება. ერთი მხრივ, ჩინეთს აქვს ძლიერი ქვეყნის მენტალიტეტი, მაგრამ, იმავდროულად, იგი ამჟღავნებს არასრულფასოვნებისა და დაუცველობის სინდრომს. რუსეთიც, რომელიც საკუთარ თავს ზესახელმწიფოდ აღიქვამს, ყველა მხრიდან საფრთხეებს ხედავს და შიდა არასტაბილურობის მუდმივი შიში აქვს.⁷

ამასთან უნდა ითქვას, რომ ჩინეთს და რუსეთს, მართალია, გარკვეული საერთო მახასიათებლები აქვთ, მაგრამ როგორც მათი პოლიტიკური წყობა, ისე ეკონომიკა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთთან უფრო მეტ მსგავსებას პოულობენ, ვიდრე აშშ-სთან.⁸

ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რათა

გადაიჭრას მოქმედი რეჟიმების შენარჩუნების ამოცანა.⁹ სწორედ შიდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, ორივე ქვეყანა დაინტერესებულია შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების კონტროლს უქმნის საფრთხეს.¹⁰

ამ ქვეყნებს კიდევ ერთი რამ აერთიანებთ, კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ აშშ უხეშად ერევა სხვა სუვერენული ქვეყნების შიდა პოლიტიკაში. მაგალითად, ჩინეთის ლიდერები ფიქრობდნენ, რომ „არაბული გაზაფხულის“ უკან აშშ იდგა და ამ მოვლენებს მკვეთრად უარყოფითად აფასებდნენ საკუთარი შიდა სტაბილურობისთვის.¹¹ საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლების ხედვაც ანალოგიურია როგორც „არაბული გაზაფხულის“, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში მომხდარი ფერადი რევოლუციების მიმართ.

საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩინეთი და რუსეთი ხშირად, გაეროს უშიშროების საბჭოში სხვადასხვა საკითხზე კენჭისყრისას, კოორდინირებულად მოქმედებენ. დასავლეთის ქვეყნების პოზიციის სანინააღმდეგოდ, მათი ერთმანეთის მხარდაჭერა გამოვლინდა მსოფლიოში არსებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებით, როგორცაა ბალკანეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სირია.¹²

ჩინეთიც და რუსეთიც უკმაყოფილოა აშშ-ის დომინირებით გლობალურ საფინანსო სისტემაში და ცდილობენ შეცვალონ ეს მდგომარეობა. ორივე მათგანი მიიჩნევს, რომ BRICS-ის¹³ ფორმატი წარმოადგენს ძალიან კარგ შესაძლებლობას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შემცირდეს აშშ-ის დომინირება საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში.¹⁴

ამავე დროს, ორივე ქვეყანას საერთაშორისო ვაჭრობის დედოლარიზაციის საერთო ინტერესი აქვს. ამისათვის ჩინეთი და რუსეთი ცდილობენ ორმხრივი ვაჭრობისას თავი აარიდონ აშშ დოლარის გამოყენებას და ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში მოახდინონ.¹⁵

ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, რუსეთიც და ჩინეთიც მხარს უჭერენ კოსმოსში იარაღის განთავსების შეზღუდვის თაობაზე შეთანხმებას, რათა შეასუსტონ აშშ-ის უპირატესობა ამ სფეროში.¹⁶

ცალკე საკითხია ჩინეთისა და რუსეთის პირველ პირებს შორის არსებული კარგი პირადი ურთიერთობები, რაც ხელს უწყობს

ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე. ვლადიმერ პუტინი 2012 წელს პრეზიდენტის პოსტზე მესამედ არჩევის შემდეგ მალევე ეწვია ჩინეთს. აღსანიშნავია, რომ მანამდე მან ვაშინგტონში დიდი რვიანის სამიტის ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა. ამ გადაწყვეტილების საბაზად მოსკოვმა დაასახელა ვლ. პუტინის მოუცლელობა რუსეთის ფედერაციაში ახალი გუბერნატორების დანიშვნის გამო. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ამჟამინდელ პრეზიდენტ სი ძინპინს თავისი პირველი უცხოური ვიზიტი 2013 წლის მარტში სწორედ რუსეთის ფედერაციაში ჰქონდა.¹⁷


2014 წლის ბოლოსთვის სი ძინპინსა და ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრა უკვე 10-ჯერ იყო გამართული,¹⁸ რაც საკმაოდ მთამბეჭდავი ციფრია დროის ამ მოკლე პერიოდისთვის.

ორივე ქვეყნის ლიდერს აქვს ამბიცია, რომ გაიუმჯობესოს პირადი პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე და შეზღუდოს აშშ-ის გავლენა როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ დონეზე.¹⁹ ამასთან, ორივეს აქვს ერთნაირი აღქმა, რომ მიმდინარეობს სისტემების ბრძოლა ლიბერალურ დემოკრატიასა და ცენტრალიზებულ მმართველობას შორის.²⁰

ორმხრივი ურთიერთობების ძირითადი საკითხები

ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სამხედრო სფეროში თანამშრომლობას. ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთი ჩინეთისთვის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩინეთის საზღვაო ძალების განვითარებაში.²¹

მას შემდეგ კი, რაც ჩინეთმა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები განავითარა, აქცენტი რუსეთისგან მხოლოდ თანამედროვე შეიარაღების შეძენაზე გააკეთა. ამასთან, შეიარაღების შესყიდვის პარალელურად, ჩინეთმა სამხედრო ტექნოლოგიების მიღების პრობის წამოყენებაც დაიწყო. ჩინეთის სამხედრო გაძლიერების ფონზე კი, რუსეთი უფრო თავშეკავებული გახდა მისთვის თანამედროვე შეიარაღების მიწოდების საკითხში.²²



წყარო: SIPRI Arms Transfer Database.

ჩინეთის და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა ბოლო ხანებში გახშირებულ ერთობლივ სამხედრო წვრთნებშიც ვლინდება. 2017 წელს ჩინეთის საზღვაო ძალები პირველად შევიდნენ ბალტიის ზღვაში, რუსეთის მიერ გამართულ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად.²³ მანამდე კი, 2016 წელს, რუსეთი მონაწილეობდა ჩინეთის მიერ ორგანიზებულ საზღვაო წვრთნებში, რომელიც სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გაიმართა.²⁴ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზღვებს, რომლებშიც ამ ქვეყნებმა აღნიშნული წვრთნები გამართეს, მკაფიო გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვთ.

ჩინეთი და რუსეთი ასევე აქტიურად თანამშრომლობენ „ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივის ფარგლებში“, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მოსკოვი ამ პროექტის მიმართ შედარებით სკეპტიკურად იყო განწყობილი. პეკინის აზრით, რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ მარშრუტებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ეს ფაქტორი ასუსტებს მოსკოვის წინააღმდეგობას.²⁵

დამატებით, რუსეთის შიდა პოლიტიკაში „რუსეთის სარკინიგზო ხაზები“ ძალიან ხშირად გამოდის ჩინეთთან ახლო თანამშრომლობის ლობისტად.²⁶ რუსეთის რკინიგზის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, თანდათანობით იზრდება რუსეთის გავლით ჩინეთიდან ევროკავშირში გაგზავნილი კონტეინერების რაოდენობა: 2014 წელს იყო 44 200, 2015 წელს – 81 100, ხოლო

2016 წელს კი – 153 000. თუმცა ეს ციფრები მოკრძალებულად გამოიყურება, თუ მათ საზღვაო ტრანსპორტით განხორციელებულ გადაზიდვებს შევადარებთ. მაგალითად, 2016 წელს სატვირთო გემებით ჩინეთიდან ევროკავშირში 10 მლნ. ტონა ტვირთი გადაიზიდა.²⁷

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევრის შეფასებით, ჩინეთის მიერ ტრანსკასპიური დერეფნის მშენებლობას მკაფიო პოლიტიკური მოტივები აქვს, რომელთა შორისაცაა რუსეთისათვის გვერდის ავლა.²⁸

დინამიკურად იზრდება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა, თუმცა ვაჭრობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ჩინეთი რუსეთში ძირითადად სამენარმეო პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს (ექსპორტის 94%), რუსეთს კი ჩინეთში ძირითადად სანვაჯი და წიაღისეული გააქვს (ექსპორტის 71%).²⁹

ამასთან, ჩინეთი რუსეთისთვის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია,³⁰ რუსეთი კი ჩინეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორებში არ შედის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წელია რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ჩინეთისთვის მიწოდებული ნავთობის რაოდენობა, რითაც გადაასწრო საუდის არაბეთს და ჩინეთისთვის ნომერი პირველი ნავთობმიმწოდებელი ქვეყანა გახდა.³¹

გარდა თანამშრომლობისა, ხშირად ლაპარაკობენ ჩინეთსა და რუსეთს შორის შესაძლო უთანხმოებებზე. ერთ-ერთი ასეთი საკითხია რუსეთის შორეული აღმოსავლეთი, რომელიც აშკარად მოქცეულია ჩინეთის ერთგვარ „ჩრდილში“. ამ რეგიონში რუსეთის 7.5 მლნ. მოქალაქე ცხოვრობს, მაშინ, როდესაც მოსაზღვრე ჩინეთის სამ პროვინციაში მცხოვრებთა რაოდენობა 112 მლნ-ს აღწევს.³²

ამ ფონზე, პერიოდულად, სხვადასხვა პუბლიკაციაში, რუსეთისთვის საფრთხეების კონტექსტში განიხილება ჩინეთის მხრიდან რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში მიგრაციის დიდ პოტენციალი. თუმცა სხვადასხვა საექსპერტო შეფასებასა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის მხრიდან რუსეთის მიმართულებით მასობრივი მიგრაციის საკითხი ჯერჯერობით პრობლემა არ გამხდარა. ჩინელები რუსეთში მცხოვრები მიგრანტების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ.³³ საექსპერტო გათვლებზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაციაში ჩინელი მიგრანტების რაოდენობა 400 000-550 000 ფარგლებში მერყეობს. მათგან ნახევრაზე მეტი რუსეთის ევროპულ ნაწილშია და არა – შორეულ აღმოსავლეთში³⁴. ჩინელ მიგრანტებში იგულისხმება

ის კატეგორია, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მინიმუმ ერთ ნელინადს დაჰყოფენ და იქ მუშაობენ.³⁵

ცენტრალური აზია არის კიდევ ერთი თემა, რომელსაც განიხილავენ ჩინეთისა და რუსეთის შესაძლო უთანხმოების მიზეზად. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, ჩინეთმა ჩაანაცვლა რუსეთი და ცენტრალური აზიიდან ენერგორესურსების მთავარი იმპორტიორი ქვეყანა გახდა. კერძოდ, ეს ეხება ყაზახეთიდან ნავთობის, ხოლო თურქმენეთიდან კი გაზის იმპორტს.³⁶

ეს ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა 2000-იან წლებში ჩინეთის ინიციატივით, რითაც ცენტრალური აზიის ამ ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთზე, როგორც ერთადერთ სატრანზიტო ქვეყანაზე, მნიშვნელოვნად შემცირდა³⁷. ამავე დროს, 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთმა ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანაში, ყაზახეთის გარდა, უკვე ჩაანაცვლა რუსეთი, როგორც მთავარი სავაჭრო პარტნიორი. საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება ამ ქვეყნებში ჩინეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობაც.³⁸

მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი და ჩინეთი ამ დრომდე წარმატებით ასწრებენ ცენტრალურ აზიაში კონკურენციის ორივე მხარისათვის მისაღებ ჩარჩოებში მოქცევას. რუსეთი კვლავ პირველობს რეგიონში პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით, გამომდინარე ენობრივი, კულტურული და პერსონალური კავშირებიდან მოსკოვსა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ელიტებს შორის. ჩინეთი კი პირველია ეკონომიკური თვალსაზრისით ცენტრალურ აზიაში, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ენერგორესურსების მიმართ მისი მაღალი მოთხოვნილებით და მეორე მხრივ, ცენტრალურ აზიაში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებით.³⁹

დასკვნა

ჩინეთი და რუსეთი ნამდვილად განეკუთვნებიან ყველაზე ძლიერ და გავლენიან რეგიონისტულ ქვეყნებს თანამედროვე მსოფლიოში, რომელთა მიზანია მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება. ამ საკითხში ისინი ერთმანეთის ბუნებრივი მოკავშირეები არიან, რასაც ამყარებს ის გარემოებაც, რომ დასავლეთს, განსაკუთრებით კი აშშ-ს, ორივე მთავარ მოწინააღმდეგედ და ძირითადი საფრთხის წყაროდ მიიჩნევენ.

უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩინეთი და რუსეთი ერთმანეთის სტრატეგიულ მოკავშირეებად მივიჩნიოთ. შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის ფედერაცია საკუთარ მთავარ კონცეპტუალურ დოკუმენტებში – ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასა და საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში – ჩინეთთან დაკავშირებით მხოლოდ „სტრატეგიულ ურთიერთქმედებაზე“ (стратегическое взаимодействие) საუბრობს, ხოლო იმავე დოკუმენტებში, მაგალითად, ინდოეთთან მიმართებით, „სტრატეგიული პარტნიორობა“ (стратегическое партнерство) გამოიყენება, რასაც, ცხადია, უფრო მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე „სტრატეგიულ ურთიერთქმედებას“.

ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთთან მწვავედ დაპირისპირებული რუსეთი კიდევ უფრო უკეთ უნდა აცნობიერებდეს ჩინეთთან ურთიერთობების მნიშვნელობას. შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი არგუმენტი არსებობს იმისთვის, თუ რატომ უნდა შეეგუოს მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩინეთის ეკონომიკური გავლენის გაზრდას, რომელიც ცენტრალური აზიიდან დაიწყო და ახლა უკვე მთლიანად ეს სივრცე მოიცავს. რაც არ უნდა მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პეკინი და მოსკოვი, რუსეთი კმაყოფილი ვერ იქნება ჩინეთის გავლენის გაზრდით იმ სივრცეში, რომელსაც იგი მხოლოდ საკუთარი გავლენის ზონად მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ თავად მოსკოვი არ გამოირჩევა ჩინეთის ინტერესების სივრცეში განსაკუთრებული აქტიურობით.

ჩინეთ-რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ჩინეთის გააქტიურება ჩვენს რეგიონში დადებითი მოვლენაა, რადგან ეს პროცესი საქართველოს ახალ, საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს აძლევს. ასევე პერსპექტიულია პოლიტიკურადაც: ჩინეთის გააქტიურებას შედეგად სტაბილურობის განმტკიცების ხელშეწყობა უნდა მოჰყვეს – ამის ინტერესი ჩინეთს ჩვენს რეგიონში განხორციელებული ინვესტიციებისა და სხვადასხვა პროექტის გამო ბუნებრივად ექნება.

ბიბლიოგრაფია

1. National Security Strategy of the United States of America. December 2017. www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905-2.pdf (Accessed 27/08/2018);
2. Michael S. Chase, Evan S. Medeiros, J. Stapleton Roy, Eugene B. Rumer, Robert Sutter, and Richard Weitz. "Russia-China Relations - Assessing Common Ground and Strategic Fault Lines". The National Bureau of Asian Research. Special Report #66. pp. 3;
3. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp.2 www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);
4. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 11;
5. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp.2 www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);
6. Michael S. Chase, Evan S. Medeiros, J. Stapleton Roy, Eugene B. Rumer, Robert Sutter, and Richard Weitz. "Russia-China Relations - Assessing Common Ground and Strategic Fault Lines". The National Bureau of Asian Research. Special Report #66. pp. 5;
7. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 38;
8. Dean Cheng. "Confronting the Eurasian Powers of Russia and China". Backgrounder, NO. 3249, Heritage Foundation, September 28, 2017. pp. 2. www.report.heritage.org/bg3249 (Accessed 10/07/2018);
9. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 37;
10. Dean Cheng. "Confronting the Eurasian Powers of Russia and China". Backgrounder, NO. 3249, Heritage Foundation, September 28, 2017. pp. 2. www.report.heritage.org/bg3249 (Accessed 10/07/2018);
11. Michael S. Chase, Evan S. Medeiros, J. Stapleton Roy, Eugene B. Rumer, Robert Sutter, and Richard Weitz. "Russia-China Relations - Assessing Common Ground and Strategic Fault Lines". The National Bureau of Asian Research. Special Report #66. pp. 6;
12. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp.8 www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);
13. ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა – ქვეყნების ერთ-გვარი ალიანის, რომლებიც რეგულარულად მართავენ უმაღლესი დონის შეხვედრებს და ცდილობენ საკუთარი პოლიტიკის კოორდინირებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.
14. Ibid;

15. Stefan Gleason. "China Moves Forward with Its De-Dollarization Strategy" November, 21, 2016. www.mises.org/wire/china-moves-forward-its-de-dollarization-strategy (Accessed 29/08/2018);
16. Dean Cheng. "Confronting the Eurasian Powers of Russia and China". Backgrounder, NO. 3249, Heritage Foundation, September 28, 2017. pp. 2. www.report.heritage.org/bg3249 (Accessed (10/07/2018));
17. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp. 3. www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);
18. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 14;
19. Ibid. pp. 15;
20. Richard Fontaine, Daniel Twining. "Standing Up for Democracy - American Values and Great Power Competition", July, 18, 2018. www.foreignaffairs.com/articles/2018-07-18/standing-democracy?cid=int-fls&pgtype=hpg (Accessed 29/08/2018);
21. Paul Schwartz. "Russia's Contribution to China's Surface Warfare Capabilities – Feeding the Dragon". A report of CSIS Russia and Eurasian Program. Center of Strategic & International Studies. August, 2015. pp. 38;
22. Ibid. pp. 40;
23. Dean Cheng. "Confronting the Eurasian Powers of Russia and China". Backgrounder, NO. 3249, Heritage Foundation, September 28, 2017. pp. 2. www.report.heritage.org/bg3249 (Accessed (10/07/2018));
24. Evgeny Kanaev. "Deciphering the Eurasian Potential of the Russia–Vietnam Comprehensive Strategic Partnership". Russian Analytical Digest # 209. October 25, 2017. www.css.ethz.ch/content/specialinterest/gess/cis/center-for-securities-studies/en/publications/rad/rad-all-issues/details.html?id=/n/o/2/0/no_209_russias_political_role_in_east_as (Accessed 30/08/2018);
25. Jakub Jakóbowski, Konrad Popławski, Marcin Kaczmarski. "The Silk Railroad - The EU-China rail connections: background, actors, interests." Centre for Eastern Studies (OSW), February 2018. pp.45; www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-studies/2018-02-28/silk-railroad-eu-china-rail-connections-background-actors (Accessed 27/08/2018);
26. Ibid;
27. Ibid. pp. 27;
28. Ibid pp. 52;
29. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 49;
30. "Russia-China trade up 20.8 percent in 2017". January 15, 2018. www.chinadaily.com.cn/a/201801/15/WS5a5c188ba3102c394518f3eb.html (Accessed 08/30/2018);

31. "Russia remains China's top oil supplier as pipeline expands". February 24, 2018. www.reuters.com/article/us-china-economy-trade-crude/russia-remains-chinas-top-oil-supplier-as-pipeline-expands-idUSKCN1G808M (Accessed 08/30/2018);
32. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp. 4. www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);
33. Märta Carlsson, Susanne Oxenstierna and Mikael Weissmann. "China and Russia – A Study on Cooperation, Competition and Distrust". FOI-R--4087—SE, June 2015. pp. 53;
34. Maria Repnikova, Alexander Gabuev. "Why Forecasts of a Chinese Takeover of the Russian Far East are Just Dramatic Myth". July 14, 2017. www.scmp.com/comment/insight-opinion/article/2102324/why-forecasts-chinese-takeover-russian-far-east-are-just (Accessed 07/09/2018);
35. "Китайцы в Россию не хотят". July 21, 2017. www.carnegie.ru/2017/07/21/ru-pub-72620 (Accessed 07/09/2018);
36. Slavomír Horák. "Challenges from the East: China". Putin's Grand Strategy: The Eurasian Union and Its Discontents. Edited by S. Frederick Starr and Svante E. Cornell. Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program – A Joint Transatlantic Research and Policy Center. pp.170. www.silkroadstudies.org/resources/1409GrandStrategy.pdf (Accessed 29/08/2018);
37. Ivan Safranchuk. "Russia in a Reconnecting Eurasia – Foreign Economic and Security Interests". A report of CSIS Russia and Eurasian Program. Center of Strategic & International Studies. September, 2016. pp. 12-13. www.csis.org/analysis/russia-reconnecting-eurasia (Accessed 29/8/2018);
38. Arkady Dubnov. "Reflecting on a Quarter Century of Russia's Relations with Central Asia". U.S.-Russia Insight, Carnegie Endowment for International Peace. April, 2018. pp.4. www.carnegieendowment.org/files/Dubnov_US-RussiaInsight.pdf (Accessed 29/08/2018).
39. Angela Stent. "Russia, China, and the West After Crimea." Transatlantic Academy Paper Series, May 2016. pp. 6. www.gmfus.org/publications/russia-china-and-west-after-crimea (Accessed 27/08/2018);